ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 16

2020 წელი 30 ივლისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის მიზნობრივი პროგრამის ,,2020 წლის პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიულიუ წყაროთი-ბრიკეტით" დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნუციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამა: 2020 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება ,,სხვა ალტერნატიული წყაროთი - ბრიკეტით" შემდეგი რედაქციით (იხ: პროგრამის დანართი)

2.მუნიციპალიტეტის მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურმა უზრუნველყოს 2020 წელს მიზნობრივი პროგრამის განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი ქუჩა N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნადიმ ვარშანიძე

დანართი N1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2020 წლისათვის ზომის
ერთეული ლარებში

1.პროგრამის სახელწოდება:

2020 წლის პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება „სხვა ალტერნატიული წყაროთი - ბრიკეტით"

(UNDP პროგრამა შედგენილია გაეროს განვითარების 2016/2017 წლის კვლევის საფუძველზე)

2.პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

„01 ივლისი" 2020 წელი - „31 დეკემბერი" 2020 წელი.

3.პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით:

4.პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 330 000 (სამასი) ლარი.

5.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

UNDP პროგრამა შედგენილია გაეროს განვითარების 2016/2017 წლის კვლევის საფუძველზე.

პროგრამის მიზანია როგორც გარემოს შენარჩუნება, ენერგოეფექტურობა, ტყის მდგრადი მართვა ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სითბოთი უზრუნველყოფა. ჩვენ - თვითმმართველობამ, საზოგადოებამ, ერთად უნდა შევცვალოთ არსებული რეალობა ხელვაჩაურის ეკოლოგიის გასაუმჯობესებლად და მოქალაქეების საკეთილდღეოდ. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ხე-ტყის კანონიერ ან/და უკანონო ჭრების ფაქტების აღკვეთას, ბრიკეტის მოხმარებით ხელს შევუწყობთ კლიმატის ცვლილების პროცესის შერბილებას, ტყის ეკოსისტემის შენარჩუნებას და შემცირდება დანახარჯები გათბობაზე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შემცირდება დაახლოებით 2 000 კუბური მეტრის საშეშე ხე-ტყის მოხმარება ყოველწლიურად.

სუფთა ენერგო ტექნოლოგიების დანერგვა, როგორიცაა შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის გარდა, აქვს სოციალური სარგებელი. პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლის სარეიტინგო ქულასაც განსაზღვრავს მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ასევე ის ოჯახები, რომლებიც მატერიალური და ეკონომიკური სიღუხჭირის გამო ვერ იყენებენ სათბობ საშუალებად ბუნებრივ აირს/გაზს და რომელთა სარეიტინგო ქულასაც განსაზღვრავს მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ჯამში პროგრამის ფარგლებში ისარგებლებს დაახლოებით 340 კომლი, სულ დახმარება გაეწევა - 1 700 ბენეფიციარს.

ბრიკეტი - არის ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთა საწვავი საშუალება. ბრიკეტი მზადდება ხის ნარჩენებისგან, ასევე ნებისმიერი ბიო მასის ნარჩენებისგან, ბრიკეტი არ შეიცავს არანაირ ქიმიურ დანამატებს. იგი გამოიყენება საწვავად და მოსახერხებელია ბუხარში, ღუმელში, მყარი საწვავის ბოილერებში და მყარ საწვავზე მომუშავე სხვა გასათბობ მოწყობილობებში დასაწვავად, რის გამოც არ საჭიროებს არსებული ღუმელების შეცვლას და დამატებით ინვესტიციას ღუმელის შესაძენად.

უპირატესობა:

- ბრიკეტი მზადდება ნახერხისგან, ხის ნარჩენებისგან და ნებისმიერი ბიო ნასისგან რაიმე დანამატების გარეშე;
- შეშაზე 1.5-2-ჯერ მაღალი წვის ტემპერატურა;
- იწვის თანაბრად და დიდხანს;
- აქვს ტენის დაბალი შემცველობა და უფრო მაღალი სიმკვრივე, ვიდრე მშრალ შეშას;
- მაღალი თბოუნარიანობა შეედრება ზოგიერთი ტიპის ნახშირს;
- არის ენერგიის განახლებადი წყარო და არ იწვევს წიაღისეული ნახშირბადის მატებას ატმოსფეროში;
- შეშისგან განსხვავებით არ საჭიროებს გაშრობას, რადგან აქვს ტენისადმი მაღალი შედეგობა;
- იწვის კვამლის მინიმალური რაოდენობით, არ ბოლავს და არ ისვრის ნაპერწკლებს;

- აქვს ნახშირთან შედარებით დაბალი ნაცრიანობა;
- მოსახერხებელია შესანახად და ტრანსპორტირებისთვის;
- პაკეტებით შენახვისას არ ლპება და არ იფშვნება;
- 1 ტონა ბრიკეტი თბოკალორიულობით ცვლის 4 კუბურ მეტრ შეშას.

7.პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორი:

N	პროგრამის მიზნები	მიზნების აღწერის შეფასების ინდიკატორები
1	ბრიკეტი ჩაანაცვლებს შეშას და შემცირდება შეშაზე მოთხოვნა და მისი გამოყენება ასევე ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას რეგიონში, შეშის წვის შედეგად შემცირებული ემისიები ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას; ასევე ხელი შეეწყობა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.	პროგრამით მოსარგებლე კომლთა სავარაუდო რაოდენობა 340, სულ 1 700 ბენეფიციარი.
2	პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით	ბრიკეტის შეძენა და დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი
3	სუფთა ენერგო ტექნოლოგიების დანერგვას, როგორიცაა შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის გარდა, აქვს სოციალური სარგებელი	შეშის მოხმარების შემცირება და ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

N	დასახელება	3 კვარტალი	4 კვარტალი

1	ბენეფიციარების განცხადებების მიღება	X	X
2	ბრიკეტის შეძენა	X	X

9. პროგრამით მოსარგებლე პირები

1. პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულასაც განსაზღვრავს მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
2. პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ის ოჯახები, რომლებიც მატერიალური და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, (რაც დასტურდება მერიის წარმომადგენლის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინიტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში გაცემული მოხსენებითი ბარათით)- ზამთარისთვის სხვა სათბობ საშუალება არ გააჩნით და ვერ იყენებენ სათბობ საშუალებათ ბუნებრივ აირს/გაზს რომელთა სარეიტინგო ქულასაც განსაზღვრავს მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
3. ზემოთჩამოთვლილი კატეგორიის ბენეფიციარებს პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ გადაეცემათ 1,5 ტონა ბრიკეტი.

10.პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევისა და დაფინანსების წესი

1. პროგრამის ფარგლებში, ბრიკეტის მოთხოვნის მიზნით მოქალაქემ 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით და წარუდგინოს სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა.
2. პროგრამის მოსარგებლე მოქალაქეთა განცხადებების განხილვა/შერჩევას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს სარეიტინგო ქულა და ჩაანაცვლოს მომდევნო სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარი.

11.პროგრამის ბიუჯეტი;

1. ბრიკეტის შეძენის გასაწევი ხარჯები.

N	დასახელება	ზომის ერთეული	საკვარაულო რაოდენობა	საკვარაულო ფასი (ლარი)	საერთო ფასი
1.	ბრიკეტი	ტონა	510	650	330 000
	სულ ჯამი:				

1. პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება		2020წელი	2020 წელი	2021 წელი	სულ ჯამი
1	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 100%	330 000	-	-	330 000

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამაში ჩართვა განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ბენეფიციარების განცხადებების საფუძველზე.